ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 6 მარტის სხდომის

ოქმი #3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 6 მარტს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 29 წევრი, სხდომას ესწრებოდა 19 წევრი. სხდომას ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე, გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია, ასევე ფაკულტეტის სამივლინებო კომისიის წევრები.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ;
2. სამივლინებო კომისიის საკითხი;
3. თსუ სადისერტაციო საბჭოში ახალი წევრების არჩევა;
4. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ჭელიძემ. ცვლილებები შეეხო შემდეგ პროგრამებს: საბაკალავრო პროგრამები „მათემატიკა“, „ქიმია“, „ქიმია“ (ინგლისურენოვანი), სამაგისტრო პროგრამა „ინფორმაციული სისტემები“ (იხ. დანართი 1). პროგრამული ცვლილებების საფუძველი იყო პროგრამების ოპტიმიზაცია და განვითარება.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ომარ ფურთუხიამ და რამაზ ხომერიკმა.

საბჭოს თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: შევიდეს წარმოდგენილი ცვლილებები (იხ. დანართი 1) შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში: საბაკალავრო პროგრამა „მათემატიკა“, საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“, საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“ (ინგლისურენოვანი) და სამაგისტრო პროგრამა „ინფორმაციული სისტემები“.

2. **მოისმინეს:** ინფორმაცია სამივლინებო კომისიის მიერ წამოჭრილი საკითხი შესახებ, რომელიც ეხებოდა აკადემიური პერსონალის სამივლინებო განაცხადების დაკმაყოფილების პირობებს. საკითხი წარმოადგინა სამივლინებო კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ლია მაჭავარიანმა. მან ისაუბრა სამივლინებო განაცხადის დაკმაყოფილების არსებულ პირობებსა და შეზღუდვებზე და წინადადებით შემოვიდა,

რომ სადავო საკითხების გადაჭრისას პასუხისმგებლობა დეპარტამენტმა და კათედრამაც აიღოს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ი.თავხელიძემ, დ.ძიძიგურმა, რ.ხომერიკმა, ნ.კოტრიკაძემ, გ.სირბილაძემ. ქალბატონმა დიანამ ისაუბრა პოსტერული მოხსენების შემთხვევაშიც დაფინანსების შესაძლებლობაზე. ნ.კოტრიკაძემ აღნიშნა, რომ დამხმარე პერსონალიც ითხოვს მივლინების დაფინანსებას, თუ ამის შესაძლებლობა იქნება. რ.ხომერიკმა წინადადება შემოიტანა, რომ როცა სამზე მეტი ადამიანი გამოთქვამს ერთსადაიმავე კონფერენციაზე წასვლის სურვილს, გადაწყვეტილება დეპარტამენტმა მიიღოს.

საბჭოს თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა სამივლინებო კომისიის მიერ თანხის განაწილების წესი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: სამივლინებო განაცხადების დაკმაყოფილებისას კომისიამ იხელმძღვანელოს შემდეგი წესით:

1. ფაკულტეტის სამივლინებო თანხის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ აკადემიურ პერსონალზე;
2. სამივლინებო ხარჯის მაქსიმალური ოდენობა ერთი მეცნიერისთვის უცხოეთში შეადგენს 4000 ლარს;
3. სამივლინებო ხარჯის მაქსიმალური ოდენობა ერთი მეცნიერისთვის საქართველოში შეადგენს 1000 ლარს;
4. სამივლინებო ხარჯის ჯამური ოდენობა ერთი მეცნიერისათვის წელიწადში შეადგენს 4000 ლარს;
5. ერთსადაიმავე კონფერენციაზე მონაწილეობა ერთი დეპარტამენტიდან დასაშვებია მაქსიმუმ სამი მეცნიერისათვის; თუ მსურველების რაოდენობა აღემატება სამს, გადაწყვეტილებას სამი აკადემიური პერსონალის შერჩევის შესახებ იღებს შესაბამისი დეპარტამენტი.
6. კონფერენციებში მონაწილეობისას დაფინანსებული დღეების მაქსიმალური რაოდენობაა: დღიური ხარჯით - 8 დღე; საცხოვრებლის დასაქირავებლად - 7 ღამე.

საჭიროების შემთხვევაში, სამივლინებო კომისია, თანხის გაცემის საკითხს შესაბამის დეპარტამენტთან/კათედრასთან შეთანხმებით მიიღებს. დეპარტამენტის ჩართულობა საჭირო იქნება ერთ კონფერენციაზე სამი მომხსენებლის შერჩევისას, თუ მსურველი სამზე მეტია, ან კონფერენციაზე წარსადგენი მოხსენების ტიპზე (ზეპირი, პოსტერი) გადაწყვეტილების მისაღებად, რაც განცხადებაზე ხელმოწერით დაფიქსირდება.

3. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის მესამე საკითხის - თსუ სადისერტაციო საბჭოში ახალი წევრების არჩევის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თსუ სადისერტაციო საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენლებს წევრობის ვადა ამოეწურათ. ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს შესთავაზა ახალი კანდიდატურების დასახელება.

აზრი გამოთქვეს: ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა დაასახელეს პროფესორების ლია მაჭავარიანის, გია სირბილაძისა და ნანული დორეულის კანდიდატურები ორ ვაკანტურ ადგილზე. თუმცა პროფესორმა გ.სირბილაძემ აცილება მისცა თავის თავს.

საბჭოს თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მათი არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: ორივე კანდიდატი აირჩიეს ერთხმად.

დაადგინეს: თსუ სადისერტაციო საბჭოში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მხრიდან არჩეულნი არიან პროფესორები ლია მაჭავარიანი და ნანული დორეული.

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხი. ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე ვიტალი მაჭავარიანი მიღების შესახებ შუამდგომლობით გამოვიდა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში იუნესკოს სამთავრობათაშორისო კომისიის ოკეანოგრაფიულ მონაცემთა გაცვლის საერთაშორისო პროგრამის თსუ-ს ცენტრი/განყოფილების თანამშრომლად მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე მიღებულ იქნას ვიტალი მაჭავარიანი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი